

თეა ბურჭულაძე

თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის

რიცხვითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებით არაერთი საგულისხმო წესი თუ რეკომენდაციაა შემუშავებული. ნორმები დადგენილია იმის მიხედვით, რა სახისაა ესა თუ ის რიცხვითი სახელი: რაოდენობითი, რიგობითი თუ წილობითი. აღნიშნულია, რომ თითოეული ტიპი სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს – რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერასთან დაკავშირებით შესაბამისი წესებია შემუშავებული, რიგობით და წილობით რიცხვით სახელებთან კი – სხვა. მართლწერის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ ვწერთ რიცხვით სახელს – სიტყვიერად თუ ციფრებით გამოვსახავთ. ბევრი რამ გარკვეულია და დადგენილი, თუმცა სადავო და პრობლემური საკითხები დღესაც თავს იჩენს ხოლმე იმ შემთხვევაში, როცა რიცხვით სახელს დაერთვის თანდებული ან ნაწილაკი (ან ორივე ერთად). ჩვენს მიზანს წარმოადგენს ამ ფორმამაწარმოებელი აფიქსებით გაფორმებული რიცხვითი სახელების მართლწერის წესების დადგენა და მათი სისტემატიზაცია.

პირველ ეტაპზე გასათვალისწინებელია, თუ რა სახისაა რიცხვითი სახელი – რაოდენობითი, რიგობითი თუ წილობითი, არაბული ციფრებითაა აღნიშნული თუ რომაულით. თითოეული მათგანი თავისებურ სურათს აჩვენებს და მასთან დაკავშირებული საკითხებიც შესაბამის მიდგომას მოითხოვს.

1. თანდებულიანი და ნაწილაკდართული რაოდენობითი რიცხვითი სახელი

რაოდენობითი რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს მარტივი (ერთი, სამი, ათი...) და რთული (თხუთმეტი, ოცდაშვიდი, ორმოცდათორმეტი...). ისინი, ისევე როგორც სხვა სახის რიცხვითი სახელები, დაირთავენ შემდეგ თანდებულებს: **-ზე, -ში, -თვის, -გან, -კენ,**

-**თან**, -**მდე**. ზოგადად, თითოეული ეს თანდებული სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას დაერთვის და ბრუნვის ნიშანთან შეხორცებული სახით გვხვდება. სახელობითი მხოლოდ -**ვით** თანდებულს დაირთავს, მიცემითთან გვაქვს -**ვით**, -**თან**, -**ზე**, -**ში**, ნათესაობითთან - **-თვის**, -**გან**, -**კენ**, -**დამი**, მოქმედებითთან - **-გან**, ვითარებითთან - **მდე** [შანიძე 1980: 70-72]: კაცთან, სახლამდე, კარის(ა)კენ, შავთან, წითლის(ა)თვის... ასეთივე ვითარება გვაქვს რიცხვით სახელთანაც: ორთან, ორამდე, თხუთმეტისთვის, რვისგან და სხვ. ცხადია, აქ მართლწერასთან დაკავშირებული სირთულეები არ გვხვდება, რადგან სიტყვიერად გადმოვცემთ რიცხვით სახელს და ის, არსებითი სახელის მსგავსად, შეხორცებულად დაირთავს ფორმამაწარმოებელ ელემენტებს.

განსხვავებულია ვითარება ციფრით გამოხატვისას. საკითხი ასე დაისმის - თანდებულთან ერთად ბრუნვის ნიშანი აღინიშნოს თუ არა? - 25-ისათვის თუ 25-თვის? 19-ისათვის თუ 19-თვის? ვფიქრობთ, რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგ დეფისით უნდა გამოიყოს თანდებული ბრუნვის ნიშანთან ერთად: **25-ის(ა)თვის**, **38-ის(ა)კენ**, **40-ის(ა)თვის**, **59-ის(ა)კენ**... იმ თანდებულთა შემთხვევაში კი, რომელთა დართვისას ისედაც არ ჩანს ბრუნვის ნიშანი (ფონეტიკური პროცესების გამო იკარგება), ცხადია, მხოლოდ თანდებული გამოიყოფა: **22-ში**, **35-ზე**, **16-თან**... ამ თანდებულთა (-ზე, -ში, -თან) დართვისას ყველა სახელთან იკარგება ბრუნვის ნიშანი (გამონაკლისია ხმოვანფუძიანი სახელები, რომლებიც **-თან** თანდებულის დართვისას ინარჩუნებენ მიცემითი ბრუნვის ნიშანს - დედასთან, მზესთან, მწვანესთან, რვასთან, ოცდაცხრასთან...).

როგორ დაიწეროს **-მდე** და **-გან** თანდებულისგან ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული **-დან** თანდებულდართული რაოდენობითი რიცხვითი სახელი? მოქმედებით ბრუნვაში, როცა ფუძის ხმოვანი იკვეცება, ნიშანი **-ით** თავისი თანდებულის (ითგან → დან) დაერთვის აღნიშნულ ფორმას. მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ნიშნისაგან თანდებულის დართვით ვიღებთ **-იდან** თანდებულს (**-ი**-ს არ მოვიაზრებთ ბრუნვისნიშნისეულ ხმოვნით ელემენტად, **-იდან** უკვე ერთი ფორმანტია). ამიტომ დამკვიდრებული 8-დან, 9-დან, 28-დან, 29-დან... ვარიანტების ნაცვლად უნდა დაიწეროს **8-იდან**, **9-იდან**, **28-იდან**, **29-იდან**... ხოლო ვითარებით ბრუნვაზე დართული **-მდე** თანდებულისანი ფორმები დაიწერება ასე: **5-ამდე**,

7-ამდე, 26-ამდე, 57-ამდე... რაც შეეხება ხმოვანფუძიან რიცხვით სახელებს, რვასა და ცხრას (ან მათ შემცველ სხვა რთულ რიცხვით სახელებს), მათი ფუძეების ხმოვნითი ა ელემენტით დასრულების გამო ისინიც ისე დაიწერება, როგორც შესაბამისი ხმოვანფუძიანი სახელი: **8-მდე, 9-მდე, 28-მდე, 29-მდე...** ხოლო **-იდან** თანდებულთან სხვა რიცხვითი სახელების მსგავსად დაიწერება: **8-იდან, 28-იდან, 49-იდან...**

რაოდენობით რიცხვით სახელთან ასევე გამოიყენება ნაწილაკები: **-ც** (-ცა), **-ღა**, **-ოდე**, **-ვე**; ორივე, სამილა, თორმეტიც(ა), ხუთიოდე...საკითხი აქაც ასე დაისმის: როგორ დაიწეროს ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი: **22-ვემ** თუ **22-ივემ**? დადგენილი ნორმების მიხედვით, ნაცვალსახელებთან და რიცხვით სახელებთანაც ნაწილაკი ფუძესთან შეხორცებული სახით უნდა დაიწეროს [ნორმები 1970: 87]. **-ვე** და **-ოდე** ნაწილაკიც ფუძესთანაა შეხორცებული და შემდეგ დაირთავს ბრუნვის ნიშანს: **ორივემ, ორივეს, ორივესი, ორივეთი, ორივედ; ორიოდე, ორიოდემ, ორიოდეს, ორიოდესი, ორიოდეთი, ორიოდედ.** სწორედ იმის გამო, რომ ნაწილაკს დაერთვის ბრუნვის ნიშნები, მართებული დაწერილობა ასეთი იქნება: **2-ვე, 3-ვემ, 2-ვეს, 2-ვესი, 2-ვეთი, 2-ვედ; 2-ოდე, 2-ოდემ, 2-ოდეს, 2-ოდესი, 2-ოდეთი, 2-ოდედ.** ყველა შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** შეხორცებულია ფუძესთან (მათ შორის ნაწილაკდართულ სახელობითბრუნვისფორმიან ვარიანტებშიც – **ორი-ვე, ორი-ვემ, ორი-ოდე, ორი-ოდემ...**), დაკარგული აქვს ფუნქცია და ისე დაირთავს ნაწილაკებს. ამიტომ სახელობით ბრუნვაში ასე დაიწერება: **2-ვე, 2-ოდე.**

-ც და **-ღა(ც)** ნაწილაკები რიცხვით სახელს (ისევე როგორც სხვა სახელებს) ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის, ის შეხორცებულია ბრუნვის ნიშანთან და არა ფუძესთან. ამიტომ **-ც** და **-ღა(ც)** ნაწილაკიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისე უნდა დაიწეროს, როგორც თანდებულთან რიცხვითი სახელი: **2-ილა, 2-მალა, 2-სლა, 2-ისლა, 2-ითლა, 2-ადლა; 2-იც, 2-მაც, 2-საც, 2-ისაც, 2-ითაც, 2-ადაც...** ბრუნვის ნიშნების გამოყოფის გარეშე, ცხადია, ვერ მოხერხდება კონტექსტის სათანადოდ გააზრება. მაგალითად, **2-სლა დარჩა მოსატანი წიგნები** თუ **2-ღა დარჩა მოსატანი წიგნები**. რა თქმა უნდა, **2-სლა** ფორმის გარეშე აზრი გაუგებარი რჩება. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია, **ბრუნვის ნიშანთან ერთად** გამოიყოს **-ღა** ნაწილაკი დეფიხით.

-**ვე** და -**ოდე** ნაწილაკებისგან განსხვავებით, სახელობით ბრუნვაში დასმული -**ლა** და -**ც** ნაწილაკიან რიცხვით სახელთან ბრუნვის ნიშანი დაიწერება, რადგან ის არაა შეხორცებული ფუძესთან და აქტიურია: 2-**ილა** (2-**მალა**...), 3-**ილა** (3-**მალა**...), 27-**ილა** (27-**მალა**...) 2-**იც** (2-**მაც**...), 10-**იც** (10-**მაც**...). ხმოვანფუძიან რიცხვით სახელთან კი შესაბამისი ფორმით გვექნება: 8-**ლა**, 8-**ც**, 9-**ლა**, 9-**ც**...

2. თანდებულიანი და ნაწილაკდართული რიგობითი რიცხვითი სახელი

რიგობითი რიცხვითი სახელის ერთ-ერთი სახეა. მისი მაწარმოებელია **მე-ე** თავსართ-ბოლოსართი. მაშასადამე, თანდებულისა თუ ნაწილაკის დართვისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ბრუნვის ნიშანი, არამედ რიგობითობის მაწარმოებელი ფორმანტიზიც. დადგენილი ნორმის მიხედვით, რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახვისას მათ მხოლოდ ბოლოში უნდა დაერთოს -**ე** სუფიქსი, ესე იგი, **და** კავშირით ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელი ასე იწერება: 27-**ე**, 138-**ე**, 743-**ე**, 39-**ე** და სხვ. [ნორმები 1970: 74]. ცხადია, ეს პრინციპი უნდა გატარდეს თანდებულის დართვის დროსაც. აღნიშნულია, რომ, თუ რიცხვს ბოლოსართი დაერთვის, მაშინ გვექნება: 25-**ეში**, 22-**ესთან** [არაბული 2004: 116]. მართლაც, თანდებულიანი რიგობითი რიცხვითი სახელის დაწერისას რიგობითობის აღმნიშვნელი -**ე** სუფიქსიც უნდა გამოიყოს: 25-**ეში**, 37-**ეს(ა)თვის**, 43-**ესთან**, 56-**ეზე**...თუ არ აღინიშნა რიგობითობის მაწარმოებელი -**ე**, მაშინ ის აირევა შესაბამის რაოდენობით რიცხვით სახელებში: **25-ში ჩამოვედი საქართველოში და 25-ეში დევს გასალბი**.

მარტივი რიგობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით გამოსახვისას თავში დაირთავს **მე-** პრეფიქსს და ციფრისგან დეფისით გამოიყოფა [ნორმები, I, 1970: 74]. ესაა ერთიდან ოცის ჩათვლით რიცხვითი სახელები, ასევე ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები. ისინი თანდებულების დართვისას დაიწერება ასე: **მე-5-ზე**, **მე-8-სთან**, **მე-60-ში**, **მე-100-ის(ა)თვის**... ნაწილაკების დართვისასაც რიგობითობის მაწარმოებელი შენარჩუნ-

დება და ბრუნვის ნიშანთან ერთად გამოიყოფა დეფისით ფუძისა-
გან: **22-ელა, 38-ემლა, მე-4-სლა, მე-4-ვე, 35-ვეემ...**

3. თანდებულიანი და ნაწილაკდართული რომაული რიცხვითი სახელი

როგორც ცნობილია, ციფრი ორგვარია: რომაული და არაბუ-
ლი. რომაული სისტემით რიცხვების წერილობით გადმოსაცემად
სულ შვიდი ნიშანია გამოყენებული: I, V, X, L, C, O, M [კვაჭაძე 1981:
2012]. ციფრთა დაწერილობისას ეს სისტემა თავისთავად გულის-
მობს რიგობითობას და დადგენილი ნორმის მიხედვით, რიგობითი
რიცხვითი სახელის რომაული ციფრებით გამოსახვისას მას არც
თავსა და არც ბოლოში პრეფიქსი ან სუფიქსი არ დაერთვის: **XIX** და
არა მე- XIX ან მე- XIX-ე [ნორმები 1970: 74].

რომაული ციფრებიც დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, თანდებუ-
ლებსა და ნაწილაკებს. თუ მხოლოდ ბრუნვის ნიშანს დაირთავს, ის
სრულად გამოიყოფა დეფისით: პეტრე I-ის, ვახტანგ VI-მ [არაბული
2004: 116]. ვფიქრობთ, თანდებულიანი რომაული რიცხვითი სახე-
ლი, რაკი ის თავისთავად გულისხმობს რიგობითობას, მაწარმოე-
ბელ **მე-ე** ელემენტებს აღარ უნდა დაირთავდეს. გასათვალისწინებე-
ლია ის ფაქტორიც, რომ რომაული რიცხვითი სახელები იკვეცება:
მეორე – მეორის(ა), მეოთხე – მეოთხის(ა)... ამიტომ თანდებულის
დართვისას ის შესაბამისი ბრუნვის ნიშნით დაიწერება: დავით
IV-ის(ა)თვის, ერეკლე **II-მდე**, ვახტანგ **VI-ის(ა)გან...** რაც შეეხება
თანხმოვანფუძიან რომაულ რიცხვით სახელს, პირველს, ის ციფრით
აღინიშნება ასე: 1-ლი [თოფურია 2005: 90]. იგი ისე დაირთავს თან-
დებულებსა და ბრუნვის ნიშნებს, როგორც შესაბამისი თანხმოვან-
ფუძიანი სახელი: გიორგი I-**ისათვის**, გიორგი I-**ის(ა)გან**, გიორგი
I-**ის(ა)კენ**. განსხვავებული მდგომარეობაა ვითარებითა და მოქმე-
დებით ბრუნვებში. აქ რიცხვით სახელს დეფისით გამოეყოფა **-ამდე**
და **-იდან** ფორმანტები: გიორგი I-**ამდე**, გიორგი I-**იდან**, ესე იგი, და-
იწერება ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილიც.

ნაწილაკთა დართვისასაც იგივე პრინციპი შენარჩუნდება. **-ვე**
და **-ლა** ნაწილაკების დართვისას დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნი-
შანი, შემდეგ კი – ნაწილაკი: ერეკლე II-**მდე**, ერეკლე II-**სვე**, ერეკლე

II-ითვე, გიორგი III-მღა, დავით IV-სღა. ბრუნვის ნიშნის გამოყოფის გარეშე აქაც აირევა სახელობით- და მიცემითბრუნვიანი ფორმები: დავით IV-ღა (სახ. ბრ.) – დავით IV-სღა (მიც. ბრ.).

4. თანდებულიანი და ნაწილაკდართული წილობითი რიცხვითი სახელი

წილობითი რიცხვითი სახელი ნაწარმოებია რიგობითიდან ვითარებითი ბრუნვის ნიშნით [კვაჭაძე 1981: 197]: მეექვსედი, მეათედი, მეთვრამეტედი... ის მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით გამოხატავს [შანიძე 1980: 41]. გამოიყენება შემდეგი წილობითი რიცხვითი სახელებიც: $\frac{3}{4}$, $\frac{1}{2}$, $\frac{1}{4}$ (სამი მეოთხედი, ერთი მეორედი, ერთი მეოთხედი)... ისინიც, სხვა სახის რიცხვითი სახელების მსგავსად, დაირთავს თანდებულებსა და ნაწილაკებს: $\frac{1}{2}$ -ის(ა)თვის, $\frac{1}{4}$ -ის(ა)გან, $\frac{3}{4}$ -ამდე, $\frac{3}{4}$ -იდან. ის სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანსაც და თანდებულსაც. მხოლოდ ბრუნვის ნიშნის დართვის შემთხვევაში ის დეფისით გამოიყოფა – $\frac{1}{2}$ -მა, $\frac{3}{4}$ -ს, $\frac{1}{4}$ -ის...

-ვე და -ღა ნაწილაკების დართვისას წილობით რიცხვით სახელთან დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: $\frac{1}{2}$ -ვე, $\frac{1}{4}$ -იღა, $\frac{3}{4}$ -მაღა, $\frac{1}{4}$ -სღა...

როგორც ჩანს, გამოიყო რამდენიმე ძირითადი წესი:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ციფრით გამოხატვისას დეფისით გამოიყოფა თანდებულებთან ერთად ბრუნვის ნიშნებიც: **25-ის(ა)თვის, 38-ის(ა)კენ, 59-ის(ა)გან, 22-ში, 35-ზე, 16-თან.** დამკვიდრებული 8-დან, 9-დან, 28-დან, 29-დან... ვარიანტების ნაცვლად უნდა დაიწეროს **8-იდან, 9-იდან, 28-იდან, 29-იდან...**, ხოლო ვითარებით ბრუნვაზე დართული -მდე თანდებულიანი ფორმები დაიწერება ასე: **5-ამდე, 7-ამდე, 26-ამდე, 57-ამდე...** რაც შეეხება ხმოვანფუძიან რიცხვით სახელებს, რვასა და ცხრას (ან მათ შემცველ სხვა რთულ რიცხვით სახელებს), მათი ფუძეების ხმოვნითი ა ელემენტით დასრულების გამო ისინიც ისე დაიწერება, როგორც შესაბამისი ხმოვანფუძიანი სახელი: **8-მდე, 9-მდე, 28-მდე, 29-მდე...** ხოლო -იდან თანდებულთან სხვა რიცხვითი სახელების მსგავსად დაიწერება: **8-იდან, 28-იდან, 39-იდან...**

-**ვე** ნაწილაკის დართვის შემთხვევებში ნაწილაკს დაერთვის ბრუნვის ნიშანი და ორივე (ერთად) დეფისით გამოიყოფა ფუძისაგან: **2-ვე**, **3-ვემ**, **2-ვეს**, **2-ვესი**, **2-ვეთი**, **2-ვედ**; **2-ოდე**, **2-ოდემ**, **2-ოდეს**, **2-ოდესი**, **2-ოდეთი**, **2-ოდედ**; **-ლა** და **-ც** ნაწილაკის დართვის შემთხვევაში კი გვექნება: ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი: **2-ილა**, **2-მალა**, **2-სლა**, **2-ისლა**, **2-ითლა**, **2-ადლა**; **2-იც**, **2-მაც**, **2-საც**, **2-ისაც**, **2-ითაც**, **2-ადაც**...

2. რიგობითი რიცხვითი სახელის ციფრით გამოხატვისას ასევე დეფისით გამოიყოფა თანდებულბთან ერთად ბრუნვის ნიშნებიც, ამასთან, დაწერილობისას აღინიშნება რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსებიც: **25-ეში**, **37-ეს(ა)თვის**, **43-ესთან**, **56-ეზე**, **მე-5-ზე**, **მე-8-სთან**, **მე-60-ში**, **მე-100-ის(ა)თვის**. ნაწილაკთა დართვის შემთხვევებშიც იგივე პრინციპი შენარჩუნდება: **22-ელა**, **38-ემლა**, **მე-4-სლა**, **მე-4-ვე**, **35-ვემ**...

3. თანდებულიანი რომაული რიცხვითი სახელი, რაკი ის თავისთავად გულისმობს რიგობითობას, მაწარმოებელ **მე-ე** ელემენტებს აღარ დაირთავს, დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნიშანი და თანდებული (ერთად): დავით **IV-ის(ა)თვის**, ერეკლე **II-მდე**, ვახტანგ **VI-ის(ა)გან**... ნაწილაკთა დართვისასაც იგივე პრინციპი შენარჩუნდება. **-ვე** და **-ლა** ნაწილაკების დართვისას დეფისით გამოიყოფა ჯერ ბრუნვის ნიშანი, შემდეგ კი – ნაწილაკი: ერეკლე **II-მდე**, ერეკლე **II-სვე**, ერეკლე **II-ითვე**, გიორგი **III-მლა**, დავით **IV-სლა**...

4. წილობით რიცხვით სახელს ასევე დეფისით გამოეყოფა ბრუნვის ნიშანი და მასზე დართული თანდებული: $\frac{1}{2}$ -**ის(ა)თვის**, $\frac{1}{4}$ -**ის(ა)გან**, $\frac{3}{4}$ -**ამდე**, $\frac{3}{4}$ -**იდან**. ის სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშანსაც და თანდებულსაც. ნაწილაკებდართული ფორმებიც ანალოგიურად დაიწერება: $\frac{1}{2}$ -**ვე**, $\frac{1}{4}$ -**ილა**, $\frac{3}{4}$ -**მალა**, $\frac{1}{4}$ -**სლა**...

თითოეული სახის რიცხვითი სახელი სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. ამიტომ ძალზე რთულია ერთგვაროვნების დაცვა მართლწერის თვალსაზრისით. თუმცა შემოთავაზებული წესები, ვფიქრობთ, სისტემურ სახეს მისცემს თანდებულისა და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების მართლწერას.

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

თოფურია 2005 – ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

კვაჭაძე 1981 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბილისი.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი.

Tea Burchuladze

Towards the Spelling of Numerals with Postposition and Particles

Summary

Each type of numeral needs to be discussed specifically. Due to this, it is difficult to maintain similarity in spelling. Some basic rules have been distinguished:

1. In order to figure a cardinal numeral in a cipher, a hyphen is used to separate a case marker and post-position: **25-is(a)tvīs** „by the 25“, **38-is(a)kēn** „towards 38“, **59-is(a)gan** „from 59“, **22-ḡi** „in 22“, **35-ze** „on 35“, **16-tan** „at 16“, etc. Instead of established **8-dan, 9-dan, 28-dan, 29-dan** „from 8, 9, 28, 29“... The followings should be written: **8-idan, 9-idan, 28-idan, 29-idan**... The forms with **-mde** post-position in an adverbial case should be written as thus: **5-amde, 7-amde, 26-amde, 57-amde** „up to 5, 7, 26, 57“... As regard the numerals with a vowel-ending like **rva** „eight“, **cxra** „nine“ (as well as other compound numerals containing „eight“ and „nine“) due to ending with a vowel **-a**, they are written similarly of the vowel-ending nouns: **8-mde, 9-mde, 28-mde, 29-mde** „to 8, 9, 28, 29“...

and the ones with **-idan** post-position, they are written similarly with other numerals: **8-idan, 9-idan, 28-idan, 29-idan** „from 8, 9, 28, 29“...

If a **-ve** particle is added, in this case a case marker is added to a particle and both are separated from a stem with a hyphen: **2-ve, 3-ve, 2-vesi, 3-veti, 2-ved, 2-ode, 2-dem, 2-odes, 2-odesi, 2-odeti, 2-oded...** When the particles **-ya** and **-c** are added to a numeral, we have thus: stem+case marker+particle: **2-iya, 2-maya, 2-sya, 2-isya, 2-itya, 2-adya; 2-ic, 2-mac, 2-sac, 2-isac, 2-itac, 2-adac...**

2. To figure an ordinal numeral in a cipher, a case-marker as well as postposition are separated with a hyphen and an ordinal suffix is written, as well: **25-eši** „in the 25th“, **37-es(a)tvis** „for the 37th“, **43-estan** „with the 43rd“, **56-eze** „on the 56th“, **me-5-ze** „on the 5th“, **me-8-stan** „with the 8th“, **me-60-eši** „in the 60th“, **me-100-is(a)tvis** „for the 100th“... The similar rule is used when the particles are added to an ordinal numeral: **22-eya** „only the 22nd“, **38-emya** „only the 38th“, **me-4-sya** „only the 4th“, **me-4-eve** „the 4th“, **35-evem** „the 35th“...

3. As a Roman numeral with a post-position denotes an ordinal one, a formative **-me-e** element isn't added to it and a case marker and post-position are separated with a hyphen: **davit IV-is(a)tvis** „for David IV“, **erekle II-mde** „till Erekle II“, **vaxtang VI-is(a)gan** „from Vakhtang VI“... When a **-ve** particle is added, firstly a particle and afterwards a case-marker is separated with a hyphen, and when a **-ya** particle is added, we've thus: a case-marker+particle: **giorgi III-mya** „Giorgi III“, **davit IV-sya** „David IV“...

4. Fractional numeral is formed similarly with a cardinal one: **½-iastvis** „for ½“, **¼-is(a)gan** „from ¼“, **¾-amde** „up to ¾“, **¾-idan** „from ¾“... A case-marker as well as postposition are added to it, as well. The forms with particles are written analogously: **½-ve, ¼-iya, ¾-maya, ¾-sya...**